# TOR for Short Term Consultancy Assignment

პროექტი: თანამედროვე და ძლიერი პარლამენტის აპარატი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში

პნ: 20.2247.3-001.00

დავალება: საქართველოს პარლამენტის 2023-2028 წლების ინსტიტუციური კომუნიკაციის სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება

## 1. ზოგადი ინფორმაცია

GIZ-ის პროექტი „თანამედროვე და ძლიერი პარლამენტის აპარატი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში" მიზნად ისახავს პარლამენტების ინსტიტუციურ და ფუნქციურ კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას. რეგიონული თანამშრომლობა ფოკუსირებულია ციფრულ ადმინისტრაციულ პროცესებზე, გაუმჯობესებულ საკანონმდებლო პროცედურებზე, რეგულირების ზემოქმედების შეფასებაზე, ანგარიშვალდებულებაზე, საზოგადოებასთან ურთიერთობასა და გადაწყვეტილების მონაწილეობით მიღებაზე. კერძოდ, გაძლიერდება მენეჯმენტის საშუალო დონე, კვლევითი და ანალიტიკური სამსახურები, ადამიანური რესურსებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტები, ასევე სამდივნოები, რომლებიც ასრულებენ წინასწარ სამუშაოს საპარლამენტო კომიტეტებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალებს, როგორც მულტიპლიკატორებს მენეჯმენტში. მნიშვნელოვანია მათი მართვის უნარების გაძლიერება და ამ გზით ინსტიტუციური ცვლილებების ხელშეწყობა.

## 2. დავალების ზოგადი აღწერილობა

საქართველოს პარლამენტი ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ორგანოა. 2018 წელს საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად გაიზრდა მისი როლი და დანიშნულება. კონსტიტუციის 36 მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 1-ლი მუხლების თანახმად, საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს პარლამენტი ხელმძღვანელობს ხალხის ინტერესების, უზენაესობის, მრავალპარტიულობის, წარმომადგენლობითი პროპორციულობის, საკითხთა თავისუფალი და კოლეგიური განხილვა და გადაწყვეტის, საქართველოს კანონმდებლობის განუხრელი დაცვის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების დაცვისა და პატივისცემის, საჯაროობის, გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებით.

პარლამენტის გაზრდილი როლისა და ფუნქციების გათვალისწინებით კიდევ უფრო გამოიკვეთა ინსტიტუციური სტრატეგიული კომუნიკაციის აუცილებლობა. 2020 წლიდან მიმდინარე პანდემიამ ცხადყო ის გამოწვევები, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა საშუალებებითა და ფორმით მოსახლეობის სათანადო ინფორმირებას საპარლამენტო საქმიანობის შესახებ, ასევე მათ ჩართულობის უზრუნველყოფას საპარლამენტო ცხოვრებაში. მიმდინარე წელს ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მომზადდა საქართველოს პარლამენტის საჭიროებების შეფასების ანგარიში 2022-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესამუშავებლად. ზემოაღნიშნული ანგარიშის ფარგლებში შესწავლილ იქნა საპარლამენტო კომუნიკაცია და ურთიერთობები. აღნიშნული საჭიროების შეფასების მიზანი იყო დაინტერესებულ მხარეებთან პარლამენტის მრავალფეროვანი შიდა და გარე კომუნიკაციისა და ჩართულობის მხრივ პარლამენტის ეფექტიანობის დადგენა. [1] კვლევამ აჩვენა, რომ პარლამენტში არ ხორციელდება ინსტიტუციური კომუნიკაციის სტრატეგიული დაგეგმვა და შესაბამისად ამჟამად არ არსებობს ერთიანი ინსტიტუციური სტრატეგიული კომუნიკაციის პოლიტიკის დოკუმენტი - სტრატეგია. ინსტიტუციური კომუნიკაციის სტრატეგიის არარსებობა იწვევს მრავალ გამოწვევას, რომელიც აფერხებს პარლამენტის კანონშემოქმედებითი, საზედამხედველო და წარმომადგენლობითი ფუნქციების განხორციელებას.

საქართველოს პარლამენტში სხვადასხვა კომიტეტსა თუ მუდმივმოქმედ საბჭოს აქვს ცალკეული კომუნიკაციის სტრატეგიული გეგმა, თუმცა გეგმების შემუშავებისა და შესრულების პროცესში კოორდინაცია კომიტეტებს შორის და/ან პარლამენტის აპარატთან/საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტთან მწირია, ან საერთოდ არ ხდება.[2]

აღსანიშნავია, რომ 2024 წლიდან საპარლამენტო არჩევნები გადავა სრულად პროპორციულ სისტემაზე, რაც გამოიწვევს 30 ერთმანდატიან მაჟორიტარულ ადგილის გაუქმებას და ამით შეცვლის წარმომადგენლობის ხასიათს. პარლამენტმა საპარლამენტო ინსტიტუციური კომუნიკაციისას უნდა უპასუხოს ამ სიახლეს და ყურადღება მიაქციოს რეგიონული მიმართულებით ინსტიტუციური კომუნიკაციის სხვადასხვა შესაძლო ვარიანტის, ინსტრუმენტისა და მექანიზმის გაძლიერებაზე.

ღია პარლამენტის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭომ დაამტკიცა მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის კონცეფცია, რომლის მიზანია საპარლამენტო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, პარლამენტის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მიმდინარე სიახლეების შესახებ ინფორმირება. კონცეფციით განსაზღვრული ღონისძიებების ძირითადი ნაწილი შესრულდა ან შემუშავების პროცესშია, თუმცა მათი განხორციელების პროცესში გამოიკვეთა სისტემური მიდგომის გადახედვის საჭიროება. ამას გარდა საპარლამენტო ცხოვრებაში მწირია სხვადასხვა ასაკობრივი სამიზნე ჯგუფების ეფექტიანი ჩართულობა.

---

[1] გვ. 9 1.1.3 საპარლამენტო კომუნიკაცია და ურთიერთობა, საქართველოს პარლამენტის საჭიროებათა შეფასების ანგარიში, 2022-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესამუშავებლად

[2] გვ. 70-70 4.5.2 ინსტიტუციური კომუნიკაცია, საქართველოს პარლამენტის საჭიროებათა შეფასების ანგარიში, 2022-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესამუშავებლად

დამატებით გამოწვევას წარმოადგენს პარლამენტის მიერ ინსტიტუციონალური მიდგომა ცნობიერებისა და საგანანმანათლებლო-შემეცნებითი საქმიანობის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტის გაზრდილმა როლმა ასევე გამოავლინა ის ინსტიტუციურ-ორგანიზაციული საჭიროებები, მათ შორის საზოგადოებასთან ურთიერთობის არსებული დეპარტამენტის საქმიანობის კუთხით. აღნიშნული საჭიროებაზე გამახვილებულია ყურადღება ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით მომზადდა საქართველოს პარლამენტის საჭიროებების შეფასების ანგარიშში 2022-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესამუშავებლად.

## 3. საკონსულტაციო მომსახურების მიზანი

საკონსულტაციო მომსახურების მიზანია საქართველოს პარლამენტის 2023-2028 წლების ინსტიტუციური კომუნიკაციის სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება

## 4. საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში შესასრულებელი ამოცანები

საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში, მომსახურების გამწევი ვალდებულია განახორციელოს:

- **კომპლექსური სიტუაციური ანალიზი** მნიშვნელოვანი კონტექსტის გარე (პოლიტიკური, სოციალური, მედია და სხვა) და შიდა კულტურული ფაქტორების შესახებ ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვებით
  - სულ მცირე 15 ინტერვიუს სერიების ჩატარება
  - პარტნიორებსა და სხვა სტეიკჰოლდერებთან ფოკუს ჯგუფების შეხვედრების ჩატარება სულ მცირე 4
  - ანალიზის ნაწილად სტეიკჰოლდერების რუკის შემუშავება, რამაც უნდა უზრუნველყოს კომუნიკაციების ეფექტიანობა.
  - არსებული დოკუმენტების შესწავლა (Desk review)
- **აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისა და ევროპის სხვა წამყვანი პარლამენტის** ინსტიტუციური კომუნიკაციის სტრატეგიის **კარგი მაგალითების შესწავლა და გათვალისწინება.**
- **საქართველოს პარლამენტის 2023-2028 წლების ინსტიტუციური კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება.**
  - ინსტიტუციური კომუნიკაციის სტრატეგიამ უნდა მოიცვას შიდა და გარე კომუნიკაცია. ის უნდა პასუხობდეს ინკლუზიურობას, ტექსტურ ნაწილთან ერთად უნდა შეიცავდეს ვიზუალიზაციას.
- **შედეგების მატრიცის, მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს შემუშავება**
- **შუალედური სამუშაო შეხვედრის გამართვა** - ინსტიტუციური სტრატეგიული დოკუმენტის სამუშაო ვერსიის განხილვა საქართველოს პარლამენტთან.
- ინსტიტუციური კომუნიკაციის სტრატეგიის გადამუშავება და საბოლოო ვერსიის წარმოდგენა.
- **შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრის გამართვა** - ინსტიტუციური სტრატეგიული დოკუმენტის საბოლოო ვერსიის განხილვა საქართველოს პარლამენტთან.

- 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხილვა
- საქართველოს პარლამენტის 2023-2028 წლების ინსტიტუციური კომუნიკაციის სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის **განხორციელების პროცესის პირველ ეტაპზე მხარდაჭერა (ფასილიტაცია)**

მომსახურების გამწევმა სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება უნდა განახორციელოს GIZ-თან და საქართველოს პარლამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით და მათთან შეთანხმებით.

## 5. შესრულებული სამუშაოები

საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში მოსალოდნელი შედეგები:

ამოცანა 1:

1. კომპლექსური სიტუაციური ანალიზის სამუშაო ვერსის წარმოდგენა
2. კომპლექსური სიტუაციური ანალიზის საბოლოო ვერსის წარმოდგენა

20 საექსპერტო დღე

ამოცანა 2:

1. საქართველოს პარლამენტის 2023-2028 წლების ინსტიტუციური კომუნიკაციის სტრატეგიის სამუშაო ვერსიის წარმოდგენა

2. შედეგების მატრიცის, მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს სამუშაო ვერსიის წარმოდგენა

1. 3. შუალედური სამუშაო შეხვედრის ჩატარება (შეხვედრის ორგანიზებას და ხარჯებს უზრუნველყოფს GIZ-ის პროექტი)

10 საექსპერტო დღე

ამოცანა 3:

2. საქართველოს პარლამენტის 2023-2028 წლების ინსტიტუციური კომუნიკაციის სტრატეგიის საბოლოო ვერსიის წარმოდგენა
3. შედეგების მატრიცის, მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს საბოლოო ვერსიის წარმოდგენა
4. შემაჯამებელი შეხვედრის გამართვა (შეხვედრის ორგანიზებას და ხარჯებს უზრუნველყოფს GIZ-ის პროექტი)

5 საექსპერტო დღე

ამოცანა 4:

1. 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის წარმოდგენა

5 საექსპერტო დღე

ამოცანა 5:

1. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესის პირველი ეტაპის მხარდაჭერა

20 საექსპერტო დღე

საქართველოს პარლამენტის 2023-2028 წლების ინსტიტუციური კომუნიკაციის სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა წარმოდგენილ უნდა იქნეს **ქართულ** და **ინგლისურ ენაზე.**

ამოცანების განხორციელების ვადები:

ამოცანა 1 – 20.12.2022
ამოცანა 2 – 28.01.2023
ამოცანა 3 – 30.03.2023
ამოცანა 4 – 30.04.2023
ამოცანა 5 – 30.10.2023

6. სამუშაო შესრულების სავარაუდო პერიოდი:

სამუშაოს დაწყება: 14.11.2022
სამუშაოს დასრულება 31.10.2023

საკონსულტაციო მომსახურების განსახორციელებლად პარტნიორი შეირჩევა კონკურსის საფუძველზე.
კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში რეგისტრირებულ სამეწარმეო (LLC) და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს (NLC, NPO).

GIZ იტოვებს უფლებას, შეამოწმოს შემოთავაზებაში მოწოდებული ინფორმაცია. არაზუსტი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, შემოთავაზება გაუქმდება.

შემოთავაზება შეფასდება GIZ-სა და საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლების მიერ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

**შემოთავაზებისა და პერსონალის კონცეფციის წარდგენა**
პრეტენდენტმა ტექნიკურ წინადადებაში უნდა აღწეროს მეთოდოლოგია, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ToR-ში ჩამოთვლილ ეტაპებს/მიზნებს, ისეთი ასპექტების გათვალისწინებით, როგორიცაა ToR-თან შესაბამისობა, განხორციელების გეგმა და დავალებების შესრულების ვადები.

პერსონალის კონცეფცია

პრეტენდენტმა უნდა შეადგინოს და განმარტოს პერსონალის განაწილების გეგმა ყველა იმ პროფესიონალისთვის, რომელიც მონაწილეობს მოთხოვნილი სერვისების მიწოდებაში. განაწილების გეგმა უნდა შეიცავდეს ვადებს და ჩართულობის პერიოდს, ასევე გუნდის ცალკეული წევრების როლს. პრეტენდენტმა უნდა აღწეროს პერსონალის მოვალეობების სფერო მათი შესაბამისი CV-ების საფუძველზე.

შემოთავაზებული გუნდის შემადგენლობა: გუნდის ლიდერი და მოკლევადიანი ექსპერტები (მათ შორის საერთაშორისო და/ან ეროვნული ექსპერტები:

- გუნდის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია (შეფასების პუნქტი 2.1)
- განათლება (2.1.1): უნივერსიტეტის დიპლომი (დიპლომი/მაგისტრი) საზოგადოებასთან ურთიერთობის, საჯარო ადმინისტრირების ან სხვა შესაბამის დარგებში
- ენა (2.1.2): ინგლისური ენის ძალიან კარგი ცოდნა
- ზოგადი პროფესიული გამოცდილება (2.1.3): 7 წლიანი პროფესიული გამოცდილება საზოგადოებასთან ურთიერთობის/მმართველობის სექტორში
- სპეციფიური პროფესიული გამოცდილება (2.1.4): ინსტიტუციური სტრატეგიული კომუნიკაციის, საჯარო მმართველობის ან/და საპარლამენტო საქმიანობის სფეროში მსგავსი პროექტების განხორციელების მინიმუმ 7 წლიანი გამოცდილება (შესაბამისი ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს ექსპერტების რეზიუმეში);
- ხელმძღვანელობის გამოცდილება/მენეჯმენტი (2.1.5): 5 წლიანი პროექტებში გუნდის ლიდერად ან კომპანიებში მენეჯერად მუშაობის

მაქსიმუმ 3 მოკლევადიანი ექსპერტები, 2 ადგილობრივი და 1 საერთაშორისო

- მოკლევადიანი ექსპერტების კვალიფიკაცია (შეფასების ცხრილის პუნქტი 4.1)
- განათლება (4.1.1): უნივერსიტეტის დიპლომი (დიპლომი/მაგისტრი) საზოგადოებასთან ურთიერთობის, საჯარო ადმინისტრირების ან სხვა შესაბამის დარგებში
- ენა (4.1.2): ინგლისური ენის ძალიან კარგი ცოდნა
- ზოგადი სამუშაო გამოცდილება (4.1.3): მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება ინსტიტუციურ-ორგანიზაციული პროცესების, ინსტიტუციონალური სტრატეგიული კომუნიკაციის, საჯარო მმართველობის და საპარლამენტო საქმიანობის სფეროში.
- სპეციფიური პროფესიული გამოცდილება (4.1.4): მინიმუმ 5 წელი მსგავსი პროექტების განხორციელებაში ინსტიტუციური სტრატეგიული კომუნიკაციის, საჯარო მმართველობის ან/და საპარლამენტო საქმიანობის სფეროში.

პრეტენდენტის შეთავაზების სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს ToR-ის სტრუქტურას. შეთავაზება უნდა იყოს დაწერილი გასაგებად (შრიფტის ზომა 11 და მეტი) და არ უნდა აღემატებოდეს 10 გვერდს (CV-ების გარდა). შეთავაზების ენაა **ქართული და ინგლისური.**

## 6. შინაარსობრივი და ფინანსური შემოთავაზების ტექნიკური მოთხოვნები

### 6.1. შემოთავაზების შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:

*1. თავფურცელი*

ორგანიზაციის დასახელება და რეგისტრაციის ნომერი. იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

*2. პროექტის აღწერა*

*2.1 პროექტის დასახელება და დაწყება-დასრულების ვადა (თვე/წელი-თვე/წელი)*

*2.2. პროექტის მიზანი და ამოცანები*

*2.3 პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები და შესრულების განრიგი (შესრულების გეგმა)*

*2.4 პროექტში ჩართული პირები და მათი ფუნქციები*

2.4.1 პროექტის განმახორციელებელი გუნდი, მათი ვინაობისა და ფუნქციის მითითებით. განაცხადს ასევე თან უნდა ერთოდეს დასახელებული პირების რეზიუმეები.

2.4.2 განაცხადს თან უნდა ერთოდეს პროექტის განხორციელებაში გათვალისწინებული პირების რეზიუმეები

*2.5. დანართი*

2.5.1 წინა პროექტების დამდასტურებელი დოკუმენტები

2.5.2 მომსახურების განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება ორგანიზაციის მიერ. დანართის სახით ასევე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რასაც განმცხადებელი მიიჩნევს რელევანტურად.

### 6.2. ფინანსური შემოთავაზება უნდა შეიცავდეს შედეგ ინფორმაციას:

*ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს ლარში, საერთაშორისო ექსპერტის ჰონორარის ჩათვლით. გთხოვთ, ჰონორარები მიუთითოთ თითოეული ჩართული პირის ინდივიდუალურად დარიცხული თანხის (Gross) სახით.*

დავალების შესასრულებლად სულ განსაზღვრულია 60 საექსპორტო დღე